№43. კვირა, გიორგობისთვის 19,—ფასი 30 კაპ. წლიწადი მეხუთე გამოცემი

№43

ამიერ კავკასიის სამინისტრო

ევგ. პ. გეგეჭკორი
პრემიერი, მინისტრი შრომისა
და გარეშე საქმეთა

აკ. იგ. ჩხენკელი
მინისტრი შინაგან საქმეთა და ფოსტა-
ტელეგრაფის

შალ, ვ. მესხიშვილი
მინისტრი იუსტიციისა — კანონთ-
მეტყველებისა

სხვათა სურათები ვერ მოვიპოვეთ, სია მათი იხ. წვრილ ამბებში

ხალხური ქიმია

ეროვნული კრება

ჩვენი ხალხი მამაპაპიდან მეწესრიგობასა და მესვეურს არის შეჩვეული:

ყანის მკაში — მეთაურს, ხვნაში — გუთნის დედას, ლხინში — თამადას, ქორწილში — ეჯიბს.

და ყველა მადგანი თავისით კი არ არის მოვლენილი, არამედ ხალხისგან რჩეული.

უამისოდ არც მკასა აქვს ბარაქა, არც გუთანს — ალო, არც ლხინს — წესი, არც ქორწილს — ეშხი.

ამ ჟამად ჩვენი ქვეყანა კი უპატრონოდ არის მიტოვებული.

მართალია ხალხი თავის თავს მიანდვეს, მაგრამ ამ ხალხში იმდენი პარტიაა, იმდენი აზრთა სხვადასხვაობაა, რომ ერთი უკან იყურება, მეორე წინ, მესამე გვერდზე, — ერთი გეზი კი არა სჩანს.

ქვეყნის ნაყოფიერი და წესიერი ცხოვრებისათვის კი ერთი გარკვეული გეზი და ნათლად აღნიშნული მიზანია საჭირო.

ყველას თვალწინა გვაქვს, უზარმაზარ რუსეთში სწორედ ამ ერთი გეზის უქონლობის გამო, აზრთა და რწმენათა გაორჭოფების წყალობით რა არევ-დარევაა, რა ბურუსი და მოურიგებლობა.

ანარქია ნთქავს რუსეთს!

ღმერთმა დაგვიფაროს ასეთი ანარქიისგან.

მაგრამ მარტო ღმერთზე რო მივაგდოთ საქმე, ჩვენს ქვეყანას არ ელხინება.

ჩვენის ერს ტრაგედიის უკანასკნელი მოქმედება ამ ჟამად სწარმოებს:

ორჭოფობა გაიმარჯვებს თუ გარკვეული აზროვნება, უცხო გავლენა თუ საკუთარი თვითშეგნება, ბოროტი სული თუ კეთილი ანგელოსი?

როგორც ყოველთვის იყო ხოლმე ჩვენს შორეულ წარსულში, ისტორიულმა ჩარხის ტრიალმა ჩვენი თავის მოვპატრონობის ხვედრი დღესაც ჩვენ მოგვანდო.

მოვუვლით თუ ვერა ჩვენს თავს?

დღეს თბილისში შეიკრიბება საქართველოს ქალაქთა, საზოგადო კულტურულ დაწესებულებათა და სხ. წარმომადგენელთა ეროვნული კრება.

ამ კრებამ უნდა განიხილოს, ვის მიანდოს თავად აზნაურთაგან გადმოცემული საერო ქონების მოვლა-პატრონობა.

ქართველ თავად აზნაურთა ეს გონივრული ნაბიჯი, სახელდობრ ისა, რომ მთელი თავისი საზოგადო ქონება ქართველ ერს გადასცა, ქართველი ერის შვილებს, პარტიულობის განურჩევლად ავალებს — ყოველგვარი კერძო ჯგუფური მიდრეკილება დაივიწყონ და შექმნან ერთი ორგანო — დაწესებულება, რომელიც შეიქმნება ამ საერო ქონების ნამდვილი პატრონ მფარველი, მთელი ერის ნება-სურვილის გამომხატველი, ყოველი პარტიის ნდობით აღჭურვილი და სრულიად საქართველოში უპირატესი გავლენის მქონე.

სიტყვა და გადაწყვეტილება მისი საქართველოს ყოველი ერთგული შვილისათვის ხელშეუვალი კანონი უნდა იყვეს. შეძლებს კი დღევნდელი კრება ამისთანა დაწესებულების შედგენას?

ამას შემადგენლობა და შედეგი გვიჩვენებს.

წუთი მძიმე განცდისაა.

ამ დაწესებულებამ უნდა იკისროს სრულიათ საქართველოს მოვლა — პატრონობა: ა) წესიერების დაცვა-დამყარება, ბ) მეურნეობის გაძღოლა-აყვავება გ) ქვეყნის ეკონომიური აღორძინება დ) საყოველთაო სწავლა განათლების შემოღება, გამოსადეგ ცოდნათა მოფენა სოფლის ნაწინარარება ე) ვაჭრობა მრეწველობის წესიერ კალაპოტში ჩაყენება, ვ) ვიწრო პარტიულ ჯგუფობრიობის დათრგუნვა და უპირველესად საერთო ქართველობის განმტკიცება (რა თქმა უნდა პარტიები შემდეგში უფრო აღორძინდებიან, მაგრამ მათი პარტიულობა ეროვნულობას არ უნდა ჩრდილავდეს) და სხ.

ერთი სიტყვით ჩვენს ერს მრავალი საქმე აქვს გასაკეთებელი, ამისათვის საჭიროა საყოველთაოთ არჩეული გუთნის დედა, თამადა მეთაური.,

ხოლო თუ ასეთ მეთაურს დღევანდელი ყრილობა ვერ აირჩევს, დროით მოწვეულ უნდა იქნეს სრულიად საქართველოს დამფუძნებელი კრება!

ვისურვოთ დღევანდელ კრებას შეასრულოს ეს როლი!

გაუმარჯოს დღევანდელ საქართველოს ეროვნულ კრებას!

იოსებ იმედაშვილი.

ხევის გლოვა

I

ვაი, შვილებო, შვილებო,
ფოთლებო, მოკლე ხნისანო,
დედის მკერდს მოწყვეტილებო,
მსხვერპლნო უგვანო მტრისანო.

2

ვაი, ჩვენს თვალებს, რას ვხედავთ,
ქარმა წაგიღოთ ფრიალით;
სამარის კარი გაგიღოთ,
ხევს მიგაბარათ ღრიალით.

3

მშვიდობით, სიყმის შვილებო,
მშვიდობით მშვენნო ტყისანო;
თქვენ დაატარეთ ცვარ-ნამით
ღრუბელნო მაღალ მთისანო.



ლამაზი სიკვდილი

(ქართველ თავადაზნაურთა შესახებ)

ნეტარება მას, ვინც სიკვდილით გაუკვდავდება!

ასეთი სიკვდილი სწორედ ჩვენს თავადაზნაურობას ეღირსა!

მოკვდა იგი, როგორც წოდება, მაგრამ იცოცხლებს მარადის, როგორც მართლა და კეთილშობილი სულის პატრონი.

საქმემან მისმან ნათელჰყო, რომ იგი მხოლოდ სახელით არა ყოფილა თ ა ვ ა დ ი, არამედ საქმითაც.

დიდმა რევოლიუციამ მოსპო ყოველგვარი წოდებრივი განსხვავება, დაასამარა ქართველი თავად აზნაურობაც, მაგრამ ამ დასამარებულმა თავისი ქონება სამარეში კი არ ჩაიტანა, არამედ მთელ ქართველ ერს უანდერძა.

თითქმის ორმოც და ათი მილიონ მანათის ქონება, ქართულ საზოგადოებისგან შენათლებლობა დაწესებულებათა მასაზრდოებელი წყარო, მშობელ ერს, ქართველ ხალხს დაუტოვა.

ეს ამბავი მოხდა გასულ კვირეში.

თავადაზნაურთა წინამძღოლმა კ. ნ. აფხაზმა ეს ცნობა საგანგებოდ მოწვეულ კრებაზე საქვეყნოდ გამოაცხადა.

თავადაზნაურთა მთელი საზოგადო ქონება სრულიად საქართველოს ავტონომიის, რაკი თავადაზნაურობა, როგორც წოდება, მოკვდა!

მოკვდა ისე, როგორც ძველ ნამდვილ ქართველ მამულიშვილის შთამომავალს შეჰფერის!

ძველი ქართველი ბრძოლის ველზე რო სასიკვდილოდ გაიგმირებოდა ხოლმე, უკანასკნელად ამოიძახებდა:

—გაუმარჯოს საყვარელ სამშობლო—საქართველოსო!

დიახ, ამავე რწმენით მოკვდა დღეს ჩვენი თავადაზნაურობა:

—გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ სამშობლო-საქართველოს და მის მომავალ მფარველ ხალხს—დემოკრატიასო!

სანატრელია ასეთი სიკვდილი!

მოკვდე და გაუკვდავდე!

განა ამაზე ლამაზი კიდევ იქნება რამე!

მოკვდა ქართველი თავადიზნაურობის სხეული—გაუმარჯოს მისს სულს, როგორც ქართველი ერის—მთელი ხალხის—განუყოფელ ნაწილს!..

იოსებ არიმათიელი

სცენის ერთი ნაკლოვანება

ჩვენი სცენის ბევრს ნაკლოვანებასთან ერთად უნდა აღვნიშნოთ ერთი რამ, რომელიც აუცილებლივ უნდა ავიცილოთ: ეგ არის წარმოდგენის გათავების შემდეგ მსახიობების გამოსვლა სცენაზე იმავე გრიმებში და მისალმება.

წარმოიდგინე, მკითხველო, რომ შენ უყურებ დრამას, სადაც ორი გმირი, სხვა და იდეით გატაცებულნი, ებრძვიან ერთმანეთს და ბოლოს ორივე იღუპება.

შენ ისე ხარ გატაცებული მათი თამაშით, რომ გავიწყდება კიდევაც შენი თეატრში ყოფნა.

შენც განიცდი მათს სულიერ დრამას.

აი თავდება პიესა, ეშვება ფარდა.

გაისმის ტაში—ვაშა. ფარდა აიხდება ჩვენი ნაცნობნი და „დაღუპულნი“ გმირნი ღიმილით და თავის დაკვრით ესალმებიან საზოგადოებას.

აქ ილუზია სრულიად იკარგება.

ჩვენ ჟურნალში ერთ ერთხელ აღნიშნული ეს ნაკლი.

ჩვენმა ნიჭიერმა რეჟისორმა ა. წუწუნავამ ამ ნაკლს ყურადღება მიაქცია და შეეცადა მის მოსპობას.

ძალიან კარგი იქნება, რომ ჩვენმა რეჟისორებმა ვ. შალიკაშვილმა და კ. შათირიშვილმა მიაქციონ ამას ყურადღება და აჰკვეთონ.

ამითი ჩვენი სცენა ბევრს მოიგებს.

ამას მოითხოვს ახალ დროის შექმნილი სამხატვრო სკოლა.

სგ. წერეთელი

შემოდგომის სტრიქონები

მიცვალილი ბუნება.

გულსაკლავად სისინებს შემოდგომის ქარი!

გაშმაგებული დაჰქრის და სიცოცხლეს ართმევს ყოველივეს.

დაუცხრომლად ღრიალებს ის და შეუბრალებლად აშიშვლებს ფერად სამოსლით შემოსილ ქვეყანას.

გაცარცული ხეები ცრემლებად იღვრებიან!

გრაზმორეული ქარი ძირიან-ფესვიანად არყევს და ტოტებს უმტვრევს მათ.

მოყვითალო ფოთლები ერთმანეთში ირევიან და უკანასკნელად მღერიან გამოსათხოვარ ჰიმნს.

მათი მესაფლავე შემოდგომის ქარი, გახარებული გამარჯვებით ძლევა-მოსილად სისინებს და სადღაც მიერეკება უსიცოცხლო ფოთლებს.

მთის თხემებში-კი აქა-იქ ჩამალულან ნაფლეთ-ნაფლეთად დაგლეჯილი ღრუბლები.

ისინიც-კი გაურბიან. ისინიც-კი ემალებიან ცოფ-მორეულ შემოდგომის ქარს.

აღვრეულ ცაზე ნაწყვეტ-ნაწყვეტად მიდი-მოდიან შავი ღრუბლები.

შემოდგომის ქარი თავის დაკვრით ათამაშებს მათ.

ბრწყინვალე მზე სასიცოცხლო სიცხოველე. მას თითქო ეჯავრება გაცრცვნილი, ერთფეროვანი ქვეყანა და პირს არიდებს მას

გვიან ამოდის და ისევ მალე ჩადის.

ღრუბლებს ამოფარებული აჩქარებულად მისრიალებს დასავლეთისკენ.

და მხოლოდ ხანდიხან ქურდულად თუ ჩამოიხედავს დაბლა.

მშვენიერი ტყე თანდათან შიშვლდება. ცარიელდება.

მისი მხიარული სტუმრები არა სჩანან. წასულან.

მათ ნაცვლად ყვავ-ყორნები დაჰპატრონებია მას.

დამის მგოსანი აღარა სტვენს ჯადოსნურად.

ის სადღაც გადაკარგულა!

მის მაგიერ ბუ გაჰკივის!

მისი კივილი სევდის ისრებით სერავს სულსა და გულს.

აქა იქ, ხეებზე შერჩენილი ფოთლები მოშაკვდავის ხმით ხრიალებენ.

მათ-ც დაუდგათ უკანასკნელი წამი, ო, როგორ დაცალიერდა! როგორ გაშიშვლდა ქვეყანა!

შემოდგომის ქარი მაინც არ დგება, ისევ გულსაკლავად სისინებს. ხრიალებს

ჩემი ბაღი.

განთიადისას ბაღში ჩავედი და ჩვეულებრივათ პირველად ყვავილებს მივესალმე.

უკანასკნელმა ყვავილმა დამიხარა თავი და ისიც დაიშალა, გატიტვლდა!

და გავერანდა! გატიალდა ჩემი ბაღი!

იასამანის შიშველ ბუჩქიდან ზანტათ ფრინდა ვებერთელა, ულამაზო ფრინველი და ყრუ ძახილით თავზე გადამაფრინდა.

ერთგვარმა შიშმა დამიარა ტანში.

ეს რა უმსგავსი ფრინველი შემოჩვევია ჩემ ბაღს. აქ ხომ მხოლოთ ბულბული ჰფრენდა! წავილუღლუღე ელდა ნაკრავმა და ბაღიც დავტოვე.

სალამური

მთის ფერდობზე ვიწროთ გაეშალა ფარა მწყემსს

თითონ ვებერთელა ხის ძირში მიკუნტულიყო და ჯადოსნურათ აკვნესებდა სალამურს.

მისი ხმები გულში მიფრინდებოდნენ --და მიყუჩებულ გრძნობებს მიშლიდნენ.

ის ხმები ელვასაეთ აპობდნენ შემოდგომის ცივ ღამეს.

მ. ჰქროდნენ შორს, შორს და ბუნების წიაღში ინთქმებოდნენ.

— მითხარი კეთილო მწყემსო, რათ არის ასე სევდის მომგვრელი შენი სალამური, იგი თითქო შემოდგომას ჰბადებს გულში!

—რათ არ იცი, რომ სალამური თვით შემოდგომაა!

იგი მასავით იცრემლება. მასავით კვნესის და ისევ მასავით ჰგოდებს! მომიგო მწყემსმა და ააკვნესა სალამური.

მშვიდობით! მშვიდობით!

მწუხრათ დარაზმულიყვნენ ფრინველნი და სამხრეთისაკენ მიჰფრინავდნენ!

სევდიან ხმაზე გაჰკიოდნენ ისინი!

შემოდგომის ქარი ველურ მუსიკით აცილებდა მათ! თითო ოროლა უკან რჩებოდნენ.

თითქო ეძნელებოდათ სხვა ქვეყნათ წასვლა. სამშობლოს მოშორება.

ყვავ ყორნები გახარებული მოდებოდნენ მთა ბარს.

ისინი განუწყვეტლივ ჰკორტნიდნენ ისედაც განაწამებ ტყე მინდორს.

მშვიდობით ლამაზო ფრინველნო! თქვენი სამშობლო ისევ ლამაზათ მოიკაზმება. ისევ მოირთვება ვარდ—ყვავილებით! მაშინ ეწვევით მას.

მანამ კი მშვიდობით... მშვიდობით!..

დ. ძიძიგური

თეატრი და ცხოვრება

მოხსენება „თეატრი და ცხოვრების“ საღამოსთვის 1917 წ. ოქტომბრის 9 ქ. თბილისს.

დღეს მინდა გესაუბროთ იმაზედ თუ, ჩემის წარმოდგენით, რა როლი აქვს თეატრს ცხოვრებაში და თვით ცხოვრება რა როლს ასრულებს თეატრში ან უნდა ასრულებდეს.

განსაკუთრებით ჩვენში

მაგრამ, როდესაც ვამბობ ჩვენში, უთუოდ უნდა გავიხსენო, ზერელეთ მაინც, ჩვენი თეატრის წინანდელი ცხოვრება და ისიც გავარკვიო იყო თუ არა, გვქონდა თუ არა წინეთ ჩვენ თეატრალური ცხოვრება.

ჩვენი დღევანდელი თეატრი, როგორც ვიცით, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში იშვა.

ზოგნი ამბობენ, უკანონოთ შობილაო, რადგან უბრალო ქოხში, ხალხის წიაღში არ შობილა, არამედ ვარანტოვის სასახლის თეატრალურ სინათლეზე გაჩახლა თვალები იმიტომაც ეშმას დღემდე ეკლექიან ბავშვივით ხელრიანათ ვერ დაეჭიდა თუმცა ფეხი კარგა ხანია აიდგა.

მე მოგიწონს ეს აზრი.

იმას კარგა, რომ დროულია ნაოქვამია, შეგ ერთგვარი სიმართლეც არის და სიმართლეს ხომ მუდამ ანკარიში უნდა გაუწიოთ.

მაინც და მაინც ჩვენთვის დღეს ტესტია, რომ ჩვენი თეატრი თითქო უწინასწარ, წინასწარ არა ყოფილა.

თუმცა ამის შესახებაც თქმულა ჩვენში ტოტა რამ. ბრესაშიც და განსაკუთრებით ამ სასმოდეკ წლის წინად, როდესაც სრულიად საქართველოს სტენის მოღვაწეთა ბიურეული ორიალობა იყო. მაშინ გამოირკვა, მეფე არეკლეს დროს გვქონია ქართული. წარმოდგენები, ავტორ-მთარგმნელებიც გვყავდა, მაგ. ვინმე ავალიშვილი. თვით მაშინდელ თარგმნილი ბიესა დაბეჭდა ამასწინათ გაზ. „საქართველომ“—იფიგენია. მაგრამ ჩვენი ისტორიის ბურუსში რომ კაკვიხედოთ იქაც მოსჩანს რალაც საკარო კამოზგენებანი, მამოსთა სახიობანი და ამდერელნი. მამა ჩემს, ჩვენი წარსულის კარგა ცოდნეს, ნიკო დადიანს ახსოვდა ის წეარლები, სცა დასახელებულნი იყვნენ თვით ავტორებიც კი ასეთ საკარო კამოზგენებია, მაგ. თამარის დროს ვინმე ბელმაესისძე და თვით შავოელიც. ხასიათი თვით ამ კამოზგენებითა ჩვენ არ ვიცით, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რო უფრო მისტერიებს წაგვგავდა მა თი შინაარსი და ზოგი იყო ნაშთი კერპთაყვანისცემის კულტისა, ზოგიც ქრისტიანებრივი. ამგვარი რამ არსებულა 12 საუკ. მაინც ეს იმითია მტკიცდება, რომ საქართველოს კანთქმულ შეფეს დავით აღმაშენებელს ესეთი „სამღერელნი საეშმაკონი“ ეკრძალა და დაშქრა ბანაკად სასტიკათ აღუკრძალავს. ამ ამბავს ჩვენი სხვა შემატიანენიც იხსენიებენ მხოლოდ „სამღერელი“ მღერა ძველად ნიშნავდა თურმე არა მარტო იმ შემეცნებას, რაც ეხლა მოგვაჩნია, ე. ი. არა მარტო ხმის მუსიკალურად ბგერას, კადობას, არამედ ბირდაბირ თამაშს, ტეკვს, ბალეტიურ მიხვრა-მოხვრას, მოქმედებას.

საწყუსარიდ ეს დარგი ჩვენის წარსულისა სრულიად შეუსწავლელია კადაკრიდს ვერას ვიტყვით, მხოლოთ ერთი კი ცხადია, რომ ჩვენც გვქონია ძველად—ოდესმე საკარო დღესასწაულები კერპთ თაყვანისცემელურ თუ ქრისტიანულ ხასიათისა და იქა გვქონდა საკარო შესრულება რომელიმე რელიგიურ აქტისა, ან კანონიერებება რომელიმე მაკადონი წმიდათა თუ მითოლოგიური ღმერთისა ტხოვრებიდან. ამის ნაშთების დღესაც შესწდებით სოფლად ჩვენს ტხოვრებაში. შეგრულია „ალანურობ“, „ჭვენიერობა“, ბაბაზური „შერეა“, კასეთში თეთრ გაორგობას თეორთ კამოწეობილი „მორეობა“ და მათ მიერ შეს-ულებული რელიგიური აქტი და სხვა ამგვარი ჯერ კიდევ შეუსწავლელი და გამოუკვეველი, მაჩვენებელია ჩვენის ძველადანვე თეატრალობისა. ამ ნაშთების კასხენებით მე მინდა ამაზე მიგითითოთ, რომ თუ ელინებმა დიონისის ღმერთის დღესასწაულზე დაშენეს თეატრი, ჩვენც ქართველთა მოდგმისანი თავის დროზე ვცდილობართ სწორედ ამ გზიდან კამოვსულიყავით, სწორეთ საკარო დღესასწაულებში და გვეწარმოებინა ჩვენი თეატრი და ვინ იცის, შეიძლება, მიგვესწიენა ჩვენც საწადლისათვის შეიძლება ჩვენი თეატრი მაშინ უფრო ფესვგამაგრებული ეოფილიყო, რომ ისტორიის მსველელობის დროს ზოგიერთ ულმობელ ბირობებს წესადი არ შეეშალა და ეოფილი ჩვენი ხელოვნური დაწესებულება მის ზრდის დროსაც არ შეეუენებინა.

არის კიდევ ერთი საგულისხმო ნაწყვეტი დღეს აქამდე დარჩენილი ჩვენს ტხოვრებაში. ეს არის თხის, ეს ეთქვათ, ბოზულაობა. ალბა ზეთში და კასეთშიაც როგელის დროს თამადის თხის ტრაგს რომ წამოასურავენ, რა არის ეს თხა, თხის ჩარეგა საკარო დღესასწაულშია? მოგესსენებათ რომ ბერძნული სიტყვა ტრაგედია თხის ფესსა ნიშნავს და შეიძლება ამ ჩვენს თხასაც რაიმე ნათესაობა ჰქონდეს ამ ბერძნულ ტრაგედიასთან. ეს არც ისე სასაცილოა. ამას მხოლოდ შესწავლა და გამოკვლევა უნდა.

და აი ამგვარ ისტორიულ მოგონებათა ნაფლეთებისაგან შეიძლება მომავალში შესდგეს მთელი მატიანე ჩვენის ეოფის და გარდასრულის თეატრალობისა.

თუმცა ჩვენ, ქართველებს თეატრალობა სხვა ფრიგვალიც შეგვდგამს.

ბა შეხედეთ დასავლეთ საქართველოს შეიდს შეგრელს, გურულს, იმერელს. რა გინდ უბრალო ზრდილი იყოს, მაინც მუდამ ბოზაში დგას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყოველი მისი მიხვრა-მოხვრა მარკვევა, მოკვეტილი, სხარტი და ამიტომაც თავისებურათ მხატვრული. ტანის მოდუნებას, სხვეულის მოშდას, უსურნულ მიხვრა-მოხვრას

თქვენ მხოლოდ ინტელიგენტს თუ შეამჩნევთ, ისე კი ხალხი, დემოსი, ნამდვილი ბუნების შვილი კისკასია და ტურფა. ესეც ერთი მხარე თეატრალობისა — პლასტიური.

ეხლა აიღეთ მთიულის ლაპარაკი. ურუა და კბილებ მოჭერილი მისი დიქცია, მაგრამ რამდენი უმეშველო პათოსია მის თქმაში, მისი ხმის აბგერებაში. მთიული ჯერ კიდევ თითქო თამარის დროის ქართულით ლაპარაკობს და ხო გაქვთ შემჩნეული რო ძველ ქართულს თავისი დიაპაზონით ზეაწეული კილო აქვს მაშასადამე ერთ-გვარი პათოსი რომელიც შეიძლება დღევანდელ ევროპიულს არა ჰგავს, მაგრამ თავისებურობა კი ბევრი ახლავს ესეც მეორე მხარე თეატრალობისა-დეკლამაციური.

შალვა დადიანი



ნ. სულხანიშვილი
კომპოზიტორი, ,,პატარა კახის'' ავტორი, სასულიერო საგალობლები დასწერა და კირიონ კათალიკოსს მიართვა

ნ. შიუკაშვილი
მისი პიესის ,,სულელი''ს წარმოდგენი გამო ქართულ კლუბის სცენაზე

ნ. ძართველიშვილი
თბილისის სახელმწიფო თეატრის კოშისრად არჩეული.

ქორწილში

ცელქ დედოფალს მიართვეს ღვინო ოქროს სინითა,
ყველა მას შესცქეროდა, თითქოს შესარცხვენადა,
თამადამ არ აცალა, ხელთ იტაცა ხელადა,
კაბა დაულაქავა ჩვენს დედოფალს ღვინითა!

დედოფალს მოეწყინა ქვეფით და ლხინითა,
თამაშობა მოუნდა ჭიანურის ხმაზედა
და თამადა პატარძლის ეშხ ნაკრავი ჟინითა,
მის ჯადოსნურ თამაშზე შეიშალა ჭკვაზედა!

მეფემ იჭვი აიღო, უარი სთქვა სმაზედა
(ადგება და გაივლის გარედ აივანზედა).

თამადა ჟინიანობს, მეფე იჭვით ივსება,
აკვნესიენ ჭიანურს, დიპლიპიტოც აჰყვება,
მეფე იხმობა დედოფალს, დედოფალი არ ჰყვება...

მოქანცული თამაშით, ძირს ეშვება ნაზადა,
გული მისდის დედოფალს, წყალს ასხურებს თამადა!
მეფე მოხუცებული იჭვით გახდა ავადა!

დედოფალი მობრუნდა, სუსტია ფერ-წასული.—
თამადას კვლავ ღვინო სურს, მაყრებს დასძინებიათ...

დედოფალი თამადას ჩუმად სადღაც გაჰყვება...
ჯიანური ქვითინებს, დიპლიპიტო თან ჰყვება!..

ვეფხო ფშაველი

მომღერალი
ვარდენ ლორთქიფანიძე
შარჟი ლ. გუდიაშვილისა

მეორედ მოსვლა

(გაგრძელება იხ. „თ. დაწ.“ № 42)

ტარ. ჩემთვის ყველა ერთია. ეხლა სოციალიზმის კარზე ვართ მიმდგარნი და შენ კი ლირსებაზე შელაპარაკები. ეხლა კახეთისკენ, შეიძლება ერთი კვირა დამაგვიანდეს.

დარ. კახეთში, რა გინდა გენაცვალოს დედა

ტარ. საპროპოგანტოდ! თუ მიკითხეს აგრე გადაეცი. ნახვამდინ.

დარეჯ. შვილო, თქვენ სანახავად ჩამოვედით, გვინდა რომ წაგიყვანოთ და შენ კი გაგვირბიხარ. ეხლა ვინ არ არის ახალთაობის, აგრამ შშობლები კი არ დავიწყნია.

ტარ. არა დედა დედაჩემო, ძალიან მიყვარხართ, მაგრამ ყველაზე უფრო იდეა მიყვარს, მაგითი ვცოცხლობ და მაგისთვის მოვკვდები ეგ იდეა მეძაძის, რომ პროვინციაში წავიდე და ხალხში სინათლე შევაშუქო. ჯერ ჩემთვის დასვენების დრო არ არის! (მიდის.)

დუარ. ჯანდაბას წასულხარ და აღარ დაბრუნებულხარ. ყველასი შვილი ხარ შენა და ჩემი კი არა. (დარეჯანი სტირის.)

თამ. ეხ, დედა ჩემო, რა გატირებს? ტარიელი ჩქარა დაბრუნდება, შეიძლება ერთი კვირეც არ დარჩეს... აი მოსწიე თამბაქო!

დარეჯ. ქა! შე რაღა გემართება. გასათხოვარი ქალი და პაპიროსი? რომ შეგიტყოს ვინმემ ვინ შეგირთავს?

დუარს. ვა! ქალიც გამიჭიდა?! ეგ პაპიროსი რა არის, სადაური პატიოსნებაა?

თამ. ეხ, მამაჩემო! ხომ იცი ნათქვამია დრონი მეფობენო! რაც წინათ უპატიოსნობა იყო—ეხლა პატიოსნობად გადაიქცა. წამოდი დედა, კლუბში წაგიყვანო, რას მისჩერებიხარ ბებრუცუნა ქმარს. იქ ლოტო, მუსიკა, რუსული ოპერა... მერე ვახშამი, გაგაცნობ ჩემ ნაცნობებს, ერთი შენი ხნის ამხანაგი მყავდა ის უნდა გაგიჩინო კავალრათ.

დარეჯ. ქა რა დროს ეგენია შვილო?

დუარ. არა, ეგ რომ მიგყავს, მე არა მკითხავ?

თამ. ეხლა ქალ-ვაჟთა თანასწორობაა. ქალს შეუძლია თავის ჭკუით იაროს და იცხოვროს.

დუარ. მოიცა გოგო! ქვეყანა გააგიჟეთ ჩემ დედაკაცს ნუ გამიგიჟებთ მაინც! წადი დგმურს დამიძახე, მამა ჩამოვიდადა ფულითქო!

თამ. მამა! დგმური ფულს არ იძლევა!

დუარ. რაიო? როგორ ბედავს?

თამ. „დეისტვუი არმიაში“ ვირიცხებით და ფულს ომის შემდეგ მოგცემო, სასამართლომაც გაამართლა.

დუარ.—დარეჯან! გესმის? ვა! ხომ არ დამუნჯდი, დედა კაცო! რატომ არაფერს არ ამბობ იქნებ სიზმარში ვარ გამაღვიძეთ მაინც.

თამ. წავიდეთ, დედა, მე შენ ბროპაგანდისტობას გასწავლი, სოფელში რომ წავალთ, გლეხებს უქადაგებთ სოციალიზმს.

დარეჯ. არა შვილო შენ წადი, მე დავიღალე, ნამგზავრი ვარ. ჩქარა კი დაბრუნდი, ხომ იცი არეული დროა.

თამ. (მიდის დუარსაბი განუწყვეტლივ ეძახის) ალექსის.(

დარ. რამ გადაგრია ადამიანო,! მოისვენე იქნება ისაუზმო!

დუარსაბ. გასწით. დამეკარგეთ! (დარეჯანი მიდის, შემოდის ალექსი.)

დუარ. სად დაიკარგე ბიჭო.

ალექ. ზაბასტოვკა გახლავთ ბატონო!

დუარ. რაიო?

ალექსი. ლაქია პოვრების ზაბასტოვკაა. აგრე ამბობენ: თუ მეეზოვეებს მოუმატეს ჯამაგირიო, ჩვენც მუშები არა ვართო? თორმეტი თუმანი თვეში, თუ გაჭირდა საქმე და გახდი ავად, ხაზინის ხარჯზე უნდა იწამლო, კვირეში ერთხელ სტუმრობა ჩვენ გვმართებს ეს გასტინია უნდა დაგვითმო. ალექსა კი არა ალექსი მალხაზიჩ უნდა დამიძახოთ და ბევრი სხვა. თუ ამეებს ამისრულებთ ვიმსახურებ თუ არა და აგრე უნდა ვიყო სულ (ჩამოჯდება) არც გეინძრეო, არც გეიგონოო, არც იმსახუროო და იყავიო ასე გაქვავებულიო. (დუარსაბი მისჩერებია ალექსის) რას მიყურებთ დუარსაბ რევაზიჩ, არ მიცნობთ?

დუარ. ბიჭო შე რაღა გინდა ჩემგან? უპატრონო ვირს ყველა შეაჯექით ზურგზედა? აი თქვენ აშენებულ ქვეყანას კი რა ვუთხარ? ბიჭო, ამდენს რომ მთხოვ, არა მკითხავ, მაქვს თუ არა შეძლება? იქნება ღარიბი ვარ.

ალექ. არა ბატონო ბანკში გაქვთ შენახული! თქვენზე ამბობენ, ძალიან მდიდარიაო!

დუარ. შე ყურუმსაღო, ბანკში თუ მაქვს, შენთვის ხომ არ წამირთმევია? ჩემი ოფლით შეძენილი არ არის? წადი, მომშორდი, შარზე ხომ არა ხარ შენც! აღარ მინდიხარ.

ალექ. თუ ხაზეინმა უმიზეზოთ დაგითხოვაო, სამი თვის ჯამაგირი უნდა მოგცესო,

დუარსაბ. წადი ბიჭო, თორემ გოროდოვოის დაუძახებ.

ალექ. გარადოვოები აღარ გახლავთ. ეხლა მალიციაა, სულ ჩემისთანა ბიჭები არიან შიგ.

დუარ. შენისთანები თუა, აი აშენდა მილიცია. დამეკარგე აქედან.

ალექს. სამი თვის ჯამაგირი მომე და წავალ

დუარ. (გაცოფებული) მე შენ მოგცემ ჯამაგირს(იშიშვლებს ხანჯალს) არც ეხლა წახვალ, შე ყურუმსაღო!

ალექს. (შეშინებული) ვაიმე წმინდა ესტატე, შენ გადამარჩინე სიკვდილს! (გარბის.)

დუარს. ვაა! თქვენი ჭირიმე, რას მოვესწარით? ნამდვილად მეორეთ მოსვლაა, რაღა!

(ფარდა)

სვიმონ წერეთელი

(შემდეგი იქნება)

ჩემი შეხედულება

ფილარმონიულ საზოგადოების კრებაზედ.

ყველას კარგად მოეხსენება, რომ მუშების უმრავლესობა ეროვნულ იდეას უარყობით უყურებს. მუშები ამბობენ: ეროვნულ იდეისკენ არისტოკრატები მოგვიწოდებენ და ისინი კი ჩვენთვის კარგს არას მოინდომებენო.

ასეთი შეხედულება ეროვნულ საკითხის შესახებ თუ შეცდარია, ზოგიერთ შემთხვევაში იგი არ ყოფილა სიმართლეს მოკლებული. თითო ოროლას გარდა, მომეტებული ნაწილი ამ საზოგადოებისა, ამ შეხედულების საბუთით ამართლებს. ერის ტკივილებს ეს ნაწილი იმდენად აზიარებს, რამდენადაც ეს მის ინტერესებსაც შეეხება. ამის დამამტკიცებელ საბუთს მეთვალყურე ადვილად შეამჩნევს მაშინ, როდესაც ეს ხალხი სიტყვიდან საქმეზე გადადის. წარსულ დღეებში ფილარმონიულ საზოგადოებას ჰქონდა კრება, სადაც ხსენებულ მუშების შეხედულება რაოდენათმე დამტკიცდა. კრებას განზრახული ქონდა სიკოგადოების რეორგანიზაცია სწოლის ნაციონალიზაცია, მაგრამ ხსენებულ საზოგადოების უმრავლესობა სრულებით არ იდგა იმ თვალსაზრისზე, რომელსაც კერძოთ ეს ხალხი ჩემულობს, არც სკოლის გაეროვნულება და არც ერის ინტერესები კრების უმრავლესობას არ ასულდგმულებდა. არა-თანხმობითი მოქმედება და აურზაური, აი რა ახასიათებდა საზოგადოების კრებას.

რატომ ხდებოდა ასრე? ან რა იყო უთანხმოების მიზეზი?

მიზეზი გახლდათ არა დაუდევრობა და გულგრილობა, არამედ შეგნებულათ გვერდის ახვევა იმ საკითხებზე, რაიცა სულიერ მოთხოვნილებას შეადგენს.

კრების უმცირესობა მოიხრე საზოგადოების გაეროვნებისა და გახალხოსნებისა, იგი გამოდიოდა ეროვნულ იდეის საღ შეშეცნებიდან, კრების უმრავლესობის სულის კვეთებიდან-კი გამოსჭვიოდა გრძნობის გადაგვარება და ამიტომ მათი სურვილებიც გამომდინარეობდა ევროპიული მუსიკის სიყვარულიდან, რის გამო უმრავლესობა კრებისა მომხრე ჩანდა საზოგადოებაში ძველი მოდგაწეობისა. ასეთ სხვა და სხვა მიზანთა შეხედულებიდან წარმოსდგა სხვა და სხვანაირი ტაქტიკა და მიმდინარეობა, რამაც ხელი შეუწყო კრებაზე უთანხმოებას თავი ეჩინა, ვინაიდან არისტოკრატიული ნაწილის მიდრეკილება არ იყო პრინციპიალურად ეროვნული მიდრეკილება, რომელსაც, უეჭველად ანტიეროვნული შედეგი მოჰყვებოდა. ამიტომ კრების დემოკრატიულმა ნაწილმა კრება დემონსტრატიულად დასტოვა.

ამ გვარად საზოგადოების არისტოკრატიულ ნაწილს საშუალება მიეცა ერის სულიერი მოთხოვნილება კვლავ თავის სულიერ მოთხოვნილებისთვის დაექვემდებარებინა.

აი, საქმე, რომელიც მუშებას ზემოხსენებულ შეხედულებას ამართლებს.

ამიტომ ჩვენ მოვიწოდებთ ხალხის—დემოკრატიის იმ ნაწილს, რომელსაც მიზნათ ერის გადაგვარებასთან ბრძოლა დაუსახავს ჩაწვროს ხსენებულ საზოგადოებაში წევრად და როცა შესაძლებელი იქნება, აიძულოს იგი ემსახუროს ერს და არა იმ ადამიანებს, რომელნიც სიტყვით ერს ემსახურებიან, საქმით-კი თავიანთ თავს.

მუშა მიხ. ლეკაძე

სოფლად

1

—ნათლის ჯალაბო შენი ბიჭი ქალაქიდან მოვიდა, ახალი ამბავი რა მოიტანა? გაზათი ხომ არა გამოსულარა.

—როგორ არა, შენი ჭირიმე, ე გაზეთი ხომ ტყუილია. ერთი ხელის გულის ტელა დეპეშა გამოსულა, თითონ ჩემ ბიჭს უნახამს. იქა წერებულა: დაფუძუნებულმა კრებაზე უნდა გადაწყვიტოს ყველაფერით. მაშინ გავიგებთ, ვისაც დავრჩებითო.

—იმ, ქა, ნეტა არ იქნება ახალ თაობის ხალხმა გაიმარჯვოს, თორემ თქვენი მტერი, ჩვენ დღე დაგვადგეს. ჩვენებიანთ სესელა წინათ თუ მამასახლისათ იყო, შეიძლება ახლა რო გაიმარჯონ, უწინმაც დღე დალევიათ, „პრიტავათ“ დაგვიყენონ.

2

—მაწავლებელო, რომელ პარტიას უნდა მივცეთ ხმაი, რომელი ნომერია ჩვენი ნომერი?

—მეთექსვმეტე.

—რა ვქნა აკი პირველიო?!

—ეგ ქალაქის მუშებისაა, თქვენი კი მეთექვსმეტეა.

—მოდი შენა და ყველას სიტყვა დაიჯერე: ნიკომ სთქვა მეექვსეაო, სამსონმა—მერვეაო, სტეფანემ—მეხუთეაო. ე შვილოსა, ლამის ისე გაგვიხადონ საქმე, რომ ხმა არც ერთს არ მივცეთ.

3

—შენ რომელ პარტიას აძლევ ხმასა პეტრე?

—მე, შენი ჭირიმე, გომართელს ვაძლევ ხმასა. ჩემი ბიჭი მიკითხავს ხოლმე იმის გაზეთსა. ძალიან მომწონს, ისე გონია ჩვენ გულში მჯდარა და ისე უწერია სუყველაფერიო.

—ის რომ არ არის შატანილი სიაში.

—ალბად აქაც რამე ეშმაკობაა, თორემ იმაზე კარგად რომელმა ნასწავლმა იცის ჩვენ ჭირ-ვარამი.

მუშა ზაქარია ზუმბ. ხანდაკელი



ანასტასია ზოლტიკაშვილი — მენაქინისა
და
მისი შვილი ნიკოლოზი

დეკემბერსოვის 12 მოულოდნელად გარდაიცვალა ანასტასია ზოტიკაშვილი — გენეინისა, ადამიანი მეტად სათნო და ყოვლად გულ — კეთილი.

ანასტასია იყო ძალიან მორწმუნე და მასთან დიდი მოყვარული თავის სამშობლოსი და ეროსა.

ქმარი მისი მიხეილ ნიკოლოზისძე გენეინი, ათასმოსეფობით ეპოლელი, ორი წლისა იყო როდესაც მამა მისმა კალმოიყვანა საქართველოში თურგის ოდქიდან. ბატარა მიშას გული ისე შეეთვისა ქართველებს, რომ ორი წლის შემდეგ გვერდ ასცდებოდა იგი თავის ენაზე დაბარაკს. დაყვეტებში იგი მესიოდ იყო. ყოველ თავისუფალ დროს ატარებდა ქართველებთან, დადიოდა მათთან ერთად დღეობებში და დასრულებოდა ყოველ შემე დღეს ეკლესიაში თავის მეგობრებთან ერთად თუმცა ჯერ არა ქონდა მიღებული მართმადიდებელი სარწმუნოება.

ანასტასია 17 წლისა იყო, როდესაც მიხა გენეინი 20 წლის ვაჟკაცი, მას ბირველად შესვდა ნანურის სოფოფოში, ადგილმის მეორე დღეს, დეკანოზობისს, სადაც ერთსა და იმავე დროს ერთსა და იმავე შანდალზე მოუსდათ სანთლის დანთება. ამ დღიდან კალსწეეიტა მ. ენეინმა ანასტასიას ტოლად შერთვა და კიდეეც მოინათლა იმ დროს ბორჯომში მეოთე დიდის მოსერის ნიკოლოზ მიხეილის ძის სელის დადებით.

ენინეენებულმა ანასტასიამ ქმართან სხვადასხვა ადგილებში ცხოვრებით შეაეწყალა ადგილობრივი ენნები და ბეეგის იმისთანა საზოგადოებაში, სადაც არ იცოდნენ ვინობა და ტეულად იხსენიებდნენ ან მტერებდნენ ქართველ ხალხს, ის მედგრად იცავდა და ესარწმუნებოდა თავის ერსა მან ერთ დროს ეარსში შეკმნენ ქართველ სტენიან მოყვარეთ წრე და ბიესებში თვითონაც იღებდა მონაწილეობას.

ჯერ ისევ ჯან დონით ს

დავით უდუმაშვილი, ხაშმელი გლეხი—ჯარის კაცი ბრძოლის ველზე ორჯერ დაჭრილი გარდიც

მშვიდობით მთვარევ

(ბრძოლის ველიდან)

ივნისის პირველიდან მეცხრამეტე ჯარი გამალებით მუშაობდა. თხრიდნენ სანგრებს, სდგამდნენ ზარბაზნებს მოხერხებულ ადგილებზედ, გაჰყავდათ მავთულის ხლართები ადგილების გასამაგრებლად, აგებდნენ მიწის სანგრებსა კარვებს დასაბანაკებლად და ერთ დიდ მზადებაში იყვნენ, რათა მტერს მტრულად შეხვედროდნენ და ღირსეული პასუხი გაეცათ. მზადებას რომ მორჩნენ, რადგან მტერი არ გამოჩენილიყო, დაღლილ დაქანცულნი მხედრები მოსვენებას მიეცნენ.

დიდებული ღამე იყო. ცის ლაჟვარდ ოკეანე გულ-წარმტაცი სანახავი იყო. ვერცხლის ცეცხლის თვალები, მგზნებარე ვარსკვლავები, სოცნებოდ მომხიბლავ ზესკნელის და ყველა მნახველს ზეალმაფრენ ფრთებს ასხამდნენ ზეცისადმი. ვარსკვლავთა შორის დიდი ნათელი, მეფეთა მეფე ღამისა, სხივ ასხმულ პორფირით მონარნარე მიუწდომელ ცით გაშლილი სახით დაჰქათქათებდა ქვეყანას და თვის უმანკო სხივთა ჩანჩქერით ფხვადა რწყავდა არე-მარეს.

სამხედრო ბანაკი ვერცხლის დამეში თეთრი კარვებით გადაშლილ-გადაპენტილი, ცხვრის მოძრავ ფარას მოგაგონებდა.

ქარს ეძინა სამარეზრივი დუმილი იყო გამეფებული მდუმარებას, დარაჯთა ნელი ნაბიჯი, ცხენთა ხანგამოშვებითი ფხუტუნ-ხვიხვინი რა მინდვრის, მწერ-კალიებთა სტვენა წივილი არღვევდა.

მთვარე თანდათან გადადიოდა. ოსმალეთის უზარმაზარი მთებას ჩრდილები, საამურად იშლებოდა გორებზე და ვით ოცნება ლექვა სრიალით ველმინდვრებს ეფინებოდა.

ნაშუაღამევის ორი საათი იქნებოდა.

იმ დროს, როდესაც დაღლილ-დაქანცულნი მრმა ძილში იყვნენ და ისვენებდნენ, შტაბიდან ბრძანება მოვიდა;,, თათრები მოდიან, დაუყოვნებლივ სანგრებში ჩადითო!" ბრძანება ელვის სისწრაფით მთელ ბანაკს მოედო მიუხედავათ დაღლილობისა. ჯარი სასწრაფოდ აიშალა კარვებიდან და თვალ-წამს ფეხზე წამოდგა. მხედრებმა საჩქაროთ თოფები აისხეს. აღიჭურვნენ იარაღებით და სანგრებისაკენ გასწიეს, რომელიც ბანაკიდან ვერს ნახევარ მანძილით იყო დაშორებული.

აჰა მიაწყვეს სანგრებს, ბრძოლის ადგილს, სადაც მრავალი მათგანის სისხლი უნდა დაღვრილიყო, დაუბრნებელი სიცოცხლე უნდა დალეულიყო.

მთვარე კი ჰქათქათებდა ლაღათ, მშვენიერათ, უხვათ აფრქევდა ნათელსა. თვითეულ ათგანს თვალ-წინ აღემართა სიკვდილის საშინელი ბნელ აჩრდილი. სოითეულად ჩაუდგა მებრძოლთ კვალში სულთავნხუთავი და კვალ და კვალ გაუძლვა წინ. მხედრებმა იგრძნეს იკვდილის მოახლოვება. მოაგონდათ თავისი წარსული. მოაგონდა სახლი, კარი, დედა-მამა, ცოლი, შვილი. მოაგონდათდა ყველა ამ მო-

ბონგბამ საყვარელი და ძვირფასი სიცოცხლე დაუფასებელ თანგულათ წარმოუდგინათვალწინ. უცებ ათასჯერ მეტად შეუყვარდათ ის ვიდრე უყვარდათ, ამ მოგონებით ქვეყანა ედემად გადაეშალათ. გაეხსნათ გული მთვარის ჯადოსნურ ნათელში. მოიხიბლენ დიდებული ღამით, დაენანათ სასიკვდილოდ წინ გაწვა, მკრამ ბრძანებამ და მოვალეობამ სძლია გმირები და სიკვდილის ჩრთილებით გასწოეს წინ.

მთვარის საყვარელ ნათელს, რომელიც ყოველ ახალგაზდას გულში მხოლოდ სიყვარულსა და სათნოებას აღვიძებს, უკანასკნელად შეხედეს თვალებ აღპყრობილთა და სასოებით შესძახეს:,, მშვიდობით მთვარე, ჩვენ ჩაგრულთ გულს სიყვარულით ალარ აავსებ მთვარეე, ხვალ ჩვენთვის ალარ ამოხვალ მთვარეე!- შეჰღალადეს ნალვლიანის ხმით საყვარელ მთვარეს და სანგრებში ჩავიდენ..

მტრის მხრიდან მოისმა თოფების გრიალი მამაცმა ჯარმა მამაცურად უპასუხა მტერს. გაცხარდა ბრძოლა ორთავე მხარეს, ტყვია წამლის ბუღმა ჰაერი შავათ შეღება. ორთავ მხარეს ტყვიები სეტყვასავით ცვიოდნენ.

განთიადმა მოახწია. ვარსკვლავებმა ქრობა იწყეს. ფერ დაკარგული ვთვარე, თითქო ამ სანახაობით შერცეენილი ღრუბლებში მიიმალა. გარიჟრაჟდა. დაირუხრუხა ზარბაზნებმა. ქვეყნიერება შეინძრა. ჰაერი შეირხა. ღრუბლებ აირივნენ, გათენდა. დილის ნიავმა ბრძოლის ველს თავზედ გადაუქროლა, დაჭრილთ დაკოდილთ კვნესა, სასოწარკვეთილი ოხვრა მომაკვთაგან გაიტაცა და ქვეყნის საცნობლად წაიღო.

რამდენიმე ხნის შემდეგ ბრძოლა შესწყდა. სროლა შეწყდა. ბრძოლის ველი საზარელ სანახაობათ გადიშალა. სანდლები და მის ახლოს ყველა ადგილები ღირსეულ შვილების გვამებით მოფარული იყო.

როცა მზე ამოვიდა, მისი უმანკო სხივები ვით უმანკო სულთ საშობლოს გმირთა გვამებს ღირსეულათ დაადგა თავს და წმინდა ზეციური ამბორი უყო თავდადებულთ ბრძოლის ველზე

ეგეგანი ფურცხვანიძე.

ბრძანჯანი.

შემოწირულობა

მოქალაქე რედაქტორო!

ქვემორე მოყვანილი წერილით მიგმართავ სრბანში მცხოვრებ ქართველთა და თქვენის პატივცემულ ჟურნალის სასარგებლოდ შეგვრიბე შემოწირულება, რასაც ამასთანავე გაგზავნით სიიუთრ. გთხოვთ შემოშწირველთა სია ჟურნალში გამოაცხადოთ.

დიაგარილი

ვისაც თავისი საშობლო ერ დაუვიწყნია და სურვილია ქმნა, შეძლების და გვარად ხედი შეუწყოს ჩვენს ეროვნულ-საღვთისმსურ განვითარებას, ხალხში შეგნების შეტანას, იმას ვსთხოვ, რითაც და რაგდენითაც შეუძლიან ნიგთიერად დაეხმაროს ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებ“-ს საკამოცემოდ თანხის გაძლიერებას, როგორც უპარტიო და საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიის მომთხოვნ გამოცემას.

პატივისცემით ერ. ხიმ. ხაფთანი

შემოშწირველთა სია:

1, ერმ. ხიმ. ხაფთანი	— — —	10 მ.
2, ნეს. ტოკაშვილი	— — —	5 მ.
3, პარ. მეძმარიაშვილი	— — —	15 მ.
4, სერ. დოარი	— — — —	5 მ.
5, ჩინელი შან ტი სუ	— — —	5 მ.
6, ალგ. ხოფერია	— — — —	5 მ.
7, პარ. ბოპალეიშვილი	— — —	15 მ.
8, გრ. დათუნაიშვილი	— — —	5 მ.
9, ნიკო ქაჯაია	— — — —	2 მ.
10, პავლე კახელიანძე	— — —	15 მ.
11, ექიმი ნიკ. ჯიშკარიანი	— —	5 მ,
12, იოსებ ჯანგლიძე	— —	30 მ.
13, ონ. ბალანჩიგაძე	— —	10 მ.
14, გრ. მესხი	— — —	15 მ.
15, მან. ჩიხლაძე	— —	5 მ.
16, ვ. გ. დდონტი	— —	5 მ.
17, გიორგი ასათიანი	— —	50 მ.
18, იასონ ხაფთანი	— —	3 მ.
19, სოფიო იოანეს ასული ბაქრაძე	—	15 მ.
20, ალგ. თეიდ. აბაშიძე	— —	20 მ.
21, ნიკ. ალგ. აბაშიძე	— —	10 მ.
22, დიომ. იას. გაგუა	—	5 მ.
23, მელიქ ვართანიანცი	—	5 მ.
24, იდიკო ბეს. კიზირია	—	50 მ.
	სულ	310 მანეთი.
გერასიმე ლობჯანიძე	— —	10 მ.
ეფრენე ალ. აბულაძისა	— —	10 მ.

ბ. ერ. ხაფთანის და თუალის შემოშწირველთა კეთილად მადლობას ვუძღვნით. რედაქტ.

ᲣᲕᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

საქართველოს ეროვნული კრება დღეს იწყება ხახვმწიფო თეატრში შუადღის 12 ს.

ამიერ-კავკ. მთავრობა შესდგა, მთავრობაში არჩეულნი არიან სოც.-დემოკრ.—ევ. გეგეჭკორი პრემიერი—თავმჯდ. მინიტსრი შრომის და გარეშე საქმეთა, ჩხენკელი—შინაგან საქმეთა, ტერგაზარიანი—სასურსათო; სოც.-რევ.: დ.დ. დონსკოი—სამხერდო-საზღვაოსნო;—ნერუჩევი—მიწათ მოქმედებისა; სოც.-ფედერ.—შალვა მესხიშვილი სჯულმეტყველების—იუსტიციის, დაშნაკელები ოგანჯანოვი—შეწყალების, კარჩიკიანი—ფინანსთა; თათართაგან ჯაფაროვი—ვაჭრობა-მრეწველობისა, ხან-ხოისკი—სახალხო განათლებისა, მელიქ-ასლანოვი—მიმოსვლისა, და ხასამედოვი—კანტროლისა.

რუსეთში მეუმრავლესებმა გაიმარჯვეს, შესდგა მთავრობა ლენინის მეთაურობით, მოსკოვის და პეტროგრადის ქუჩებზე სისხლი დაი ღვარა.

დამფუძნებელ კრების არჩენებიდღეს თავდება.

გურულების **გუნდმა** კონცერტი გამართა ქართულ კლუბში, ხალხი ბლომად დაესწრო. კონცერს არა უშავდა, მაგრამ მომზადება აკლდათ. სასურველია, მეორედ უფრო მომზადებულნი გამოვიდნენ.

მომღერალი ქალი ჯალანდაძე—აგასოვისა, რომელიც მიწვეულია ქართულ კლუბში, მამასახლისთა საბჭომ **200** მანეთით დააჯარიმა.

მუსიკოსი ნ სულხანიშვილი თბილისს ჩამოვიდა

ვანო **გიგოშვილი**, თეთრულ ოპერეტების მთარგმნელი და სცენის მოყვარე, სამხედრო სამსახურიდან გაანთავისუფლეს. იგი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ამ ჯამად თბილისშია (დაღესტანის ქ. № 4) და თავი დასსა სთხოვს, აცნობოს სად იმყოფება. გიგოშვილი ამ ჯამად სთარგმნის ოპერეტას ,,ალი ვაშინჯავანს''

დარია **ახვლედიანისამ** დასწერა პიესა ,, ქალი და აჩრდილი'', წარმოდგენილ იქნება ამ მოკლე ხანში

ახალგაზდა მგოსანს ი დარიშვილს უცებ ლეკორვერი გაუვარდა და დაიჭრა. დაჭრილი საავადყოფოშია.

ᲣᲨᲠ,,თეატრი **და** **ცხოვრების''** სასარგებლოდ ხარბინიდან მოვიღეთ ერ. ხაფთასის მიერ შეკრებილი **310** მან. შემომწირველთა სია ამავე ნომერშია.

ქართ. **კლუბში** ქართ.დრამ. დასმა ღვინობისთვის **16** წარმოადგინა ნ. შიუკაშვილის პიესა ,,სულელი''. პიესა შინაარსიანია, საყურადღებო. მომზადება აკლდა—ხვალ გაიმეორებენ,

შცხო **ხიტყვათა** **ლექსიკონი** ჯერ კიდევ იბეჭდება. მალე გამოვა.

პრემია ,,თ' და ც.''-სა მოკლე ხანში დაიბეჭდება და ხელის მომწერთ დაურიგდება.

მიიღება ხელის მოწერა თბილისში—ბაზრის ქ. № 20 ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, სახ, არჯევანიძისა.

ᲮᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ მისამართი: **თბილისი**, რედ, ,,თეატრი და ცხოვრება''—იოსებ იმედაშვილს,

ქართული კლუბი

I კვირის პროგრამმა

კვირა—სადამო წარმოდგენა.

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ—ოპერა. მუსიკა

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ—საოჯახო სადამო

ᲝᲗᲮᲨᲐᲑ.—სინემოტოგრაფ. სიმებ. ორკ.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑ.—ქართ. წარმოდგენა. მუსიკა

ᲞᲐᲠᲐᲡᲙ.—ოპერა.

ᲨᲐᲑ.—საოჯახო სადამო

კვირა რუსული—წარმოდგენა.

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲬᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐᲡ

განზრახვა აქვს ამ მოკლე ხანში გამართოს გამოსაცდელი წარმოდგენა. ვისაც სურს მიიღოს მონაწილეობა აღნიშნულ წარმოდგენაში შეუძლიან ჩაეწეროს წრის კანტორაში ყოველ დღე სალამოს 7—9 სათამდე.

ᲒᲘᲮᲬᲘᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲘ № 102.

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი